პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 სამშაბათი 1 აპრილი № 76 (16202) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე

274 დღე დაბადებიდან

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი კვარტალი დამთავრდა, როგორ შეასრულეთ ნაკისრი ვალდებულება? პრიტიკულად შეამოწმეთ,— ყოველი დღე, ყოველი საათი დამკვრელური იყო?

200 — მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!

120 — მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება—ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით!

დამამთავრებელი წლის ქალენდარი

წინასაარჩევნო პოლიტიკური სიტყვა

რამდენიმე დღეა, რაც აგიტპუნქტების, ამომრჩეველთა კლუბებისა და საარჩევნო უბნების შენობათა ფასადები ახალმა წარწერებმა დაამშვენა: „ღირსეულად შეეხვედით საბჭოების მომავალ არჩევნებს!“; „არჩევნებისათვის მზადების მთელ პერიოდში — მხოლოდ დამკვრელური შრომა!“.

დიახ, უკვე დაიწყო საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. იგი ყოველდღიურად სულ უფრო ფართოვდება და ჩაღდება. უეჭველია, ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი, პასუხსაგები კამპანია სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარებისა და გაღრმავების ახალი ეტაპი გახდება.

მშრომელთა დეპუტატების რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების თავისებურება და ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი გაიმართება სწორედ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 30-ე წლისთავის საიუბილეო და ჩვენი პარტიის მომავალი, XXV ყრილობის წინა წელს.

თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისათვის, თვითეული რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტისათვის, არჩევნებისათვის მზადება მუდამ სერიოზული გამოცდა იყო. მომავალი არჩევნებიც, მის მოსამზადებლად ჩასატარებელი მთელი საქმიანობაც კომუნისტთა ყოველი კოლექტივის სიმწიფისა და უნარის შემოწმება იქნება. ამიტომ ფართოდ, გაშინაულად აწარმოონ მთელი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა — აი მთავარი ამოცანა, წარმატების თავი და თავი.

მეტად უხვია ამ დღეებში ჩვენი სარედაქციო ფოსტა. როგორც თბილისიდან, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან მიღებული კორესპონდენციები იმას მოწმობს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა წინასაარჩევნო მზადებაში აქტიურად ჩაიბეს თავიანთი საუკეთესო ძალები, ყველაზე ენერგიული და მცოდნე კომუნისტები. მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. პარტიული ორგანოები სისტემატურად უნდა უწევდნენ კონტროლს, უნდა ამოწმებდნენ იმას, თუ როგორ საქმიანობს ესა თუ ის აგიტპუნქტი, კლუბი, აგიტატორი.

არჩევნებისათვის მზადების ყოველი ეტაპი — საარჩევნო კომისიების შექმნა, დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება, ამომრჩეველებად მათი შეხვედრები და სხვ. — ყოველმხრივ უნდა იყოს ორგანიზებული და იგი მჭეფარე, საინტერესო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით უნდა განვამტკიცოთ.

ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ცენტრები კი საარჩევნო უბნებია. ახლა რესპუბლიკაში შექმნილია ათასობით ამომრჩეველთა კლუბი და აგიტპუნქტი, სადაც მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში 100 ათასზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორია ჩაბმული. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის საზრუნავი სწორედ ის არის, რომ ამ კლუბებში, აგიტპუნქტებსა და ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუდამ გაისმოდეს მართალი პოლიტიკური სიტყვა. პროპაგანდისტებმა, ლექტორ-მომხსენებლებმა, აგიტატორებმა და პოლიტინფორმატორებმა ღრმად, საფუძვლიანად, გასაგებად უნდა განუმარტონ თვითეულ ამომრჩეველს ის ამოცანები, რომლებიც წამოყენებულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში და სხვა პარტიულ დოკუმენტებში.

წინასაარჩევნო საგაგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის მიზანია თვითეულ ამომრჩეველს ნათლად ესმოდეს თავისი მოქალაქეობრივი უფლებები და მოვალეობა, საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპები. მათ საინტერესოდ, ცოცხალი ფაქტებისა და მაგალითების უნარიანი გამოყენებით უნდა მოუთხრონ იმ დიდ პოზიტიურ ძვრებსა და ცვლილებებზე, რაც ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ხდება. პოლიტიკურმა სიტყვამ უნდა გააქტიუროს ადამიანთა ძალები სხვადასხვა დანაშაულის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უფრო შემტევი, პრინციპული ბრძოლისათვის.

საჭიროა გავაძლიეროთ საბჭოთა ცხოვრების წესის, მის მორალურ და სულიერ ღირებულებათა, სოციალისტური დემოკრატიის დიდ უპირატესობათა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდა

ამიტომ სწორედ ახლა, წინასაარჩევნო მზადების ამ პირველ ეტაპზე, პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააფართოონ და განამტკიცონ პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა შემადგენლობა ამომრჩეველთა კლუბებში, აგიტპუნქტებსა და აგიტმოედნებზე მუშაობისათვის, პოლიტიკური მოღვაწეობის ყველა ცენტრი უნდა უზრუნველყონ ლიტერატურით, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით, საჭიროა საგიტაციო საუბრებთან ერთად ფართოდ, საინტერესოდ და ეფექტურად გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკადი ფორმები — ლექციები და მოხსენებები, კონსულტაციები, თეორიული და სამეცნიერო კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, შრომელთა კრებები, შრომის, რეკოლუციისა და ომის ვეტერანებთან, რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრები, კედლის გაზეთები, რადიო და ტელევიზიები, კინოფილმები...

ერთი სიტყვით, უნდა ავამოქმედოთ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი მდიდარი არსენალი. ამასთან, მზრუნველობით დავნეიროთ ის ახალ-ახალი საინტერესო, სასარგებლო ფორმები და მეთოდები, რომლებიც ამ წინასაარჩევნო დღეებში ადგილებზე იბადება და ჩნდება.

საგულისხმოა, რომ არჩევნებისათვის მზადების კამპანია ჩაღდება გაზაფხულზე, სწორედ ახლა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის პერიოდში, როცა სოფლის მშრომელებისათვის ესოდენ ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი. ამიტომ პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობა მაქსიმალურად უნდა მიგუახლოვოთ მინდვრის სამუშაოებს.

ცხოვრება ახლა, სულ უფრო დიდ მოთხოვნებს გვიყენებს. ამიტომ პარტიული კომიტეტები საარჩევნო კამპანიის გეგმების განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ კომუნისტთა, პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა შემოქმედებითი ინიციატივის გაფვითარებას, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეთანხმებულ, აქტიურ მოქმედებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამომრჩეველთა წინაშე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების, წარმოების ნოვატორთა გამოსვლების ორგანიზაციას. ამ და სხვა ყველა ორგანიზატორული თუ იდეურ-აღმზრდელობითი ფორმის მიზანი კი ერთია — განვამტკიცოთ ადამიანთა შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, კიდევ უფრო განვავითაროთ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა 1975 წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

ცხადია, არჩევნებისათვის მზადება ორგანიზებულად და მაღალ დონეზე იქ წარიმართება, სადაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დაკვირვებით, მონდომებით, წარსულის გამოცდილების უნარიანი გამოყენებით ეკიდებიან საქმეს. მაგრამ, სადაც ამას უგულებელყოფენ, იქ ბევრი ხარვეზი და ნაკლი იჩენს ხოლმე თავს. ახლა, არჩევნებისათვის მზადების ამ პირველ დღეებშიც, შეიმჩნევა, რომ ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ საქმეს. ზოგან საარჩევნო უბანი, აგიტპუნქტი, ამომრჩეველთა კლუბი საფანადოდ არ არის გაფორმებული, არ მოუმარაგებიათ საჭირო მოწყობილობა და ლიტერატურა, აგვიანებენ სამუშაო გეგმების შედგენას. არ შემოუღიათ მორიგეობის გრაფიკი.

მეტი ორგანიზებულობა, მონდომება. შინაარსი, საქმიანობა! პარტიულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ისე უნდა გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ყველგან მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე წარიმართოს, საბჭოთა დემოკრატიის ახალ დღესასწაულად. ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის თვალსაჩინო დემონსტრაციად გადაიქცეს.

დამამთავრებელი წლის დამკვრელური რიტმი

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. როგორც **უზბეკეთის, საქართველოს,** ლიტვის, **ტაჯიკეთისა** და **ესტონეთის** სსრ რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები იუწყებიან, ამ რესპუბლიკების მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა.

ამ რესპუბლიკებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს და გაასაღეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა გ. შეფერს.

31 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე გ. შეფერი, რომელიც მეთაურობს იუგოსლავიის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომიტეტის XII სხდომაზე. ა. ნ. კოსიგინსა და გ. შეფერს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და სხვა საკითხებს.

საუბარმა მეგობრულ გითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ა. ა. გრომიკო მსაუბრა კანადის ელჩს რ. ფორდს

31 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო კანადის ელჩი საბჭოთა კავშირში რ. ფორდი და ესაუბრა მას. საუბრის დროს შეეხნენ მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-კანადის ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

ვიზიტი დამთავრდა

30 მარტს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პორტუგალიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პორტუგალიის დროებითი მთავრობის შრომის მინისტრი სამხედრო-საჰაერო ძალების მაიორი ჟოზე და კოშტა მარტინში.

იმავე დღეს დელეგაცია ლისაბონს გაეშგზავრა. (საკდესი).

მხარი ვუსწოროთ გამარჯვების დროშას!

1975 წლის 12-20 აპრილს ქვეყნის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ასეთი დეკანეთ მოეწყობა სრულიად საკავშირო სტუდენტთა შემოწმება. მისი მოწყობის შესახებ მიიღო დადგენილება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ შემოწმების მოწყობის დროს ჩვენი ქვეყნის თვითეულმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა უნდა მოიპოვოს საუკეთესო და კარგი შედეგები სწავლასა და შრომაში.

მთელს ქვეყანაში გაიმართება საზეიმო კრებები, შეხვედრის საღამოები, ომის ვეტერანთა სიჯარო პატივისცემა. შემოწმების დღეებში კომკავშირელები დადგებიან საპატიო ყარაულში სასაფლაოებთან, ობელისკებთან, სამარადისო დიდების ცეცხლთან. (საკდესი).

ხუთწლედის მოწინავენი

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“‘‘ კოლექტივს სოციალისტური შეჯიბრების კარგი ტრადიცია აქვს. ფეიქრები ბევრი მნიშვნელოვანი ინიციატივის ავტორები ყოფილან. წლეულს კომბინატის წარმოებებში გაიშალა შეჯიბრება დევიზით: მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. პირველი კვარტალის შედეგებით ბევრმა მუშამ ისახელა თავი. მათს შორის არის ნაზი ბიწაძე—საქსოვი წარმოების მჭსოველი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ახალგაზრდა მუშების აღმზრდელი და დამრიგებელი.

წლის დამლევამდე ცხრა თვეა დარჩა, ნაზი ბიწაძის შრომითს კალენდარზე კი უკვე 1976 წელია.

სურათზე: მოწინავე ფეიქარი ნაზი ბიწაძე.

ვ. მურგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზესტაფონელთა მილიონები

4 მილიონ 109 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებენ წლეულს ზესტაფონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის ინიციატივით ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ 200 მილიონი ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, და ბათუმელთა მაგალითისამებრ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

— ფეროშენადნობელებმა სხვებს კარგი მაგალითი მისცეს, — თქვა „კომშენსტმის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მერკვილაძემ, — მათ ადრე ნაკისრი 679 ათასი მანეთის ნაცვლად გადაწყვიტეს წლეულს გამოუშვან 1 მილიონ 329 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება 100 ათასი მანეთით გადადიდეს სამტრესტის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანებაში; თავის ვალდებულებას და შემხვედრ გეგმას 300 ათასი მანეთი დაუმატეს ზესტაფონის ღვინის ქარხანაში, 100 ათასი მანეთი — კაბელის ქარხანაში და სხვ.

სულ რაიონის მრეწველობამ ადრე ნაკისრი 2 მილიონ 859 ათასი მანეთის ნაცვლად გადაწყვიტა გამოუშვას 4 მილიონ 109 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ზეგეგმითი კილოვატ-საათები

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტრსადგურის კოლექტივი დიდის ენთუზიაზმით გამოეხმაურა ბათუმელთა მიმართვას.

პირველადელი სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 100 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავება. ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებით კი თბილსრესის კოლექტივი კისრულობს სახალხო მეურნეობას დამატებით მიაწოდოს 200 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

თბილსრესის კოლექტივი კისრულობს დადგმულ სიმძლავრეთა ეფექტურად გამოყენებითა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვით დაზოგოს 7 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 5.600 ტონა პირობითი სათბობი. ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირებით მიიღოს 225 ათასი მანეთი ეკონომია.

ზ. კოკაია,
თბილსრესის საგეგმო განყოფილების უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი.

ორგანიზებულად, ნაუოფიერად

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ლენინური კომუნისტური შაბათობის დღის — 19 აპრილს მოსაწყობად ფართოდ გაშალა მზადება ჩვენი დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში ერთ-ერთი პირველთაგანი იმათ ძრონის, ვინც პირველად გამოეხმაურა მოსკოველთა ამ შესანიშნავ თაოსნობას, არის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ნ. ბოკორიშვილი).

19 აპრილს ფეიქართა მთელი კოლექტივი — 1500 კაცი, როგორც საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. არველაძემ გვაცნობა, 18 ათას ცალ სხვადასხვა სახის ტრიკოტაჟის ნაწარმს გამოუშვებს, რომლის საერთო სასაქონლო ღირებულება 40 ათასი მანეთი იქნება. გამომუშავებული ხელფასი 5 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

□

ამ დღეებში თბილისის № 1 მექანიკური ქარხანაში (დირექტორი გ. ქართველიშვილი) გაიმართა საწარმოო კრება, რომელიც ლენინური კომუნისტური შაბათობისათვის მზადებას მიეძღვნა. სიტყვით გამოსულმა კომუნისტურ შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ფოლადაშვილმა, მოწინავე მუშამ, პარტიის 26 კონგრესის რაიკომის წევრობის კანდიდატმა ვ. კალანდაძემ, მ. ბასმაჯიანმა და სხვებმა თანამოსაქმეებს მოუწოდეს ორგანიზებულად ჩაატარონ კომუნისტური შაბათობა და ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ამ დღისათვის.

— 19 აპრილს აღსანიშნავად, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა კ. შერმადინმა, — საწარმოს კოლექტივმა ახალი გაზრდილი ვალდებულებანი იკისრა. ამ დღეს გამოშვებული იქნება 22 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქცია, ხოლო ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1.800 მანეთი.

ბაღალი აქტივობით

სოხუმი. (საკ. კორ.). კომუნისტურ შაბათობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მუშები, ინჟინერები და ტექნიკოსები.

ქარხნის ამწყობი საამქროს კოლექტივი იმ დღეს დაამზადებს 30 ცალ ჰიქტოგრაფს, 5 კომპლექტს თერმოკოპირების მანქანას, 19 აპრილს ქარხანაში სულ დამზადდება 49 ათასი მანეთის პროდუქცია. შაბათობაზე გამოშუშავებული ხელფასი 4.100 მანეთი გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. შაბათობის ჩამატარებელ შტაბს მეთაურობს ქარხნის დირექტორი ა. მიქაძე.

მომჯირნეთა ერთი დღე

ხაშური. საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად დადგება შაბათობის შრომითს ვახტზე. ფეიქრებს გადაწყვეტილი აქვთ 19 აპრილი აქციონ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ, გამოუშვან 30 ათასი მანეთის ღირებულების საფეიქრო ნაწარმი, ხაშურელი ფეიქრები ამ დღეს ძირითადად დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით იშრომებენ. გამომუშავებულ თანხას გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში. ჩატარდება ავრეთვე ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

რ. ხუხიაშვილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის კლენუმის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-საწარმოო კონფერენცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, პლენუმის გადაწყვეტილებებში ყოველმხრივ და ღრმად არის გაანალიზებული საქმის მდგომარეობა სოფლად, გამოვლენილია სერიოზული ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, შემუშავებულია თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის საფუძვლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე მიღებული პროგრამა შემდგომ განვითარდა და შემოქმედებითად განმტკიცდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმზე, პარტიის XXIII და XXIV ყრილობებზე.

საქართველოს მშრომელების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, აზრით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხორცი შეასხა თავის შემოქმედებითს საქმიანობას პარტიამ, რომელიც კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორია.

ბევრი რამ გაკეთდა საქართველოშიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდაში. ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია საკოლმეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის პრაქტიკაში, მათი ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში ახლა ზუსტად იცავენ ლენინურ ნორმებს, საგრძნობლად გაუზარდა მშრომელთა ინიციატივა და გვიგრილაინობა, ამაღლდა მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა, განმტკიცდა პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინა. რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება, რათა უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მყარი აღმავლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული პლენუმის მეათე წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო-საწარმოო კონფერენცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები“, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მომდინარეობდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მონაწილეობდნენ მნისტრები და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, წარმოების მოწინავეები, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები, პრესის მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. გელდიაშვილმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის საფუძველია“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა.

შემდეგ მოისმინეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბ. ელინტის მოხსენება „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე“, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების აკადემიკოსმდივნის აკადემიკოს ი. ხოხლოვის მოხსენება „მეცნიერების როლი და ამოცანები სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისა და ინდუსტრიულ საფუძველზე მის გადაყვანაში“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე აქტუალურ პრობლემებზე გამოვიდნენ პარტიის თეორი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე პროფესორი თ. ჯაფარი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. მიქელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სალარიშვილი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი დ. მახარაძე, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ონიანი, პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გ. მგელაძე, პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ქარუმიძე, პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ვ. მიქაძე.

((საქინფორმი).

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოების, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომავალ არჩევნებს, დაავალა პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში, გამოიყენონ საარჩევნო კამპანია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დაგალებების, შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის.

პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ შრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, საფუძვლიანად განუმარტონ მათ ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმზე, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, „1941-1945 წლების დიდ საბჭოთა ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში 1975 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს რჩება მიეცათ ამომრჩეველთა შორის საგაციტაციო-მასობრივ მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი, ადგილობრივი პრესა და რადიო, მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, თემატური საღამოები, რომლებიც მიეძღვნება სკკპ ლენინურ ხაზინაო და საგარეო პოლიტიკას, კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს, მშვიდობის პროგრამის განხორციელებას. კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში საარჩევნო უბნებსა და აგიტპუნქტებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში მოაწყონ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლები.

ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა შემდგომშიც გაუმჯობესდეს შრომელთა მიღების ორგანიზაცია, მათი წერილების, განცხადებების, თხოვნებისა და წინადადებების დროული განხილვა. საბჭოებმა და კომიტეტებმა ოპერატიულად უნდა გაანახორციელონ ღონისძიებანი შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამო, ხელი შეუწყონ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას.

პროფკავშირების კომიტეტებს დაევალათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი საარჩევნო კომისიების მუშაობას, რეკომენდაცია მისცენ მათს შემადგენლობაში საუკეთესო მუშებს, წარმოების მოწინავეებს, პროფკავშირის აქტივისტებს; აქტიური მონაწილეობა მიიღონ დეპუტატთა ანგარიშგების თაობაზე, დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად მუშა-მოსამსახურეთა კრებების მოწყობაში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატების არჩევისათვის აგიტაციაში.

რესპუბლიკური თათბირსემინარი

მუშაობა დაამთავრა მეცნიერული კომუნიზმისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარმა, რომელიც მოაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ხ. მოსაძის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების კ. ციტაიშვილის, ი. ჭობალიას, ბ. მუჯირის, ხ. ზარიკაძის ლექციები და მოხსენებები — „საქართველოს მშრომელთა ხმრძოლა ამოცანების ძველოლოგიური უზრუნველყოფა“, „კომუნისტური პარტია — გვრცელი ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ორგანიზატორი“, „კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზა“, „ერები და ეროვნული ურთიერთობა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში“, „პროლეტარული რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია და თანამედროვეობა“. თათბირ-სემინარზე ლექციამოსმენებინი გააკეთეს აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა, დოცენტებმა შ. თოფაძემ, ა. ციციშვილმა, ბ. ჯოჯუამ — „პოეტიკიური ინდოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ეტაპი“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, „ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება პარტიულ სწავლებაში“.

პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტებმა ჯ. კვარაცხელიამ და თ. ჯიყელმა მოაწყვეს საუბრები პარტიული განათლების ჭსლში სწავლების მეთოდიკის საკითხებზე. (საქინფორმი).

თბილისის სტუმრები

მესამე დღეა თბილისში იმყოფებიან სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. დელეგაციის მეთაურობს სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე აბდულაჰი სამანტარი.

31 მარტს დელეგაციის წევრები საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში ესაუბრნენ პროფსაბჭოს მდივანს რ. ჯაფარიძეს, რომელმაც სტუმრებს მათი თხოვნით გააცნო საქართველოს პროფკავშირული მოძრაობის განვითარების ისტორია.

იმავე დღეს სომალის დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვეტაძეს.

სტუმრები გაეცნენ პროფკავშირთა სასახლის მუშაობას, ეწვივნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანას, დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი ადგილები. (საქინფორმი).

ტრადიციული დღესასწაული

30 მარტს საზეიმო ვითარებაში დამთავრდა ჩაის კვირეული.

ს. კიროვის სახელობის ჩაისსაშენებელი ქარხანაში, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანაში, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სართავ-სატრიკოტაჟო და ხის დამუშავებელ კომბინატებსა და სხვა საწარმოებში სადღესასწაულოდ მორთულ მაგიდებთან მუშებმა და მოსამსახურეებმა ტიტესტერების ხელმძღვანელობით მოაწყვეს ჩაის დეგუსტაცია.

რესტორან „საქართველოში“ ჩაის დღესასწაულზე თბილისელები და ჩვენი ქალაქის სტუმრები შეხვდნენ პოეტ ჯ. ჩარკვიანს, ესტრადის პოპულარულ მსახიობებს მ. და ა. ჩიბლაძეებს, ე. ბელიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ე. მირიანაშვილს, გ. კიკნაძეს, მსახიობებს ო. დათაშვილსა და მ. სომხიშვილს, ი. არჩვაძეს, საესტრადო ორკესტრის „საქართველოს“ კოლექტივს რ. ვოლოვიჩის ხელმძღვანელობით. გამოვიდნენ აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები — თბილისის სასადილოების მეორე ტრესტის ვოკალური ansამბლი „მეგობრობა“ ვაჟრობის დამსახურებული მუშაკის კ. ბერეწაძის ხელმძღვანელობით და თბილისის კაფეებისა და რესტორნების ტრესტის სიმღერისა და ცეკვის ansამბლი გ. ბუაძისა და ა. ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით.

დიდი დღესასწაული გაიმართა ჩაის სახლში. აქ მოვიდნენ ხელოვნების სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები — წარჩინებული მუშები და სოფლის მეურნეობის მშრომელები, ცნობილი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, მეცნიერები და მხატვრები, თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობები, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ტურისტები. (საქინფორმის კორ.).

ასე ითქვა:

საქართველოს პარტიულ - სამეურნეო აქტივზე ალინიშნა: კარგი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის ფოლად - თუჯსამსხმელო ქარხნის მუშაკებმა. ისინი შრომოგენ დეკიზით: „ჩვენი მიზეზით არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო!“ მაგრამ ამ ქარხანაშიც არის გამოუყენებელი რეზერვები.

ასე შეფასდა:

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა [illegible] ნაკისრი 150 ათასი მანეთის ზეგეგმიერი პროდუქციის ნაცვლად წლეულს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

შეჯიბრება, ძიება

შეკვეთები — ვადამდე

არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ უნდა იყოს ჩვენი მიზეზით, — ამ დევიზით შრომობს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი.

წუნა წარმოების მტერია, ამბობენ აქ, და ამ აზრის მარტო თავიანთ საწარმოზე რიდი ავრცელებენ, არამედ სხვებზედაც, ვინთანაც კოოპერირებით არიან დაკავშირებული. მეტად სასიამოვნოა მათი ეს მოვალეობა. მზადდება ჩარხები, თუ მანქანები თბილისის, ცხინვალის, ხარკოვის მარკით და იგზავნება შორს, სამშობლოს ფარგლებს გარეთ, არ შეიძლება მათი მიზეზით შერცხვეს ხაბეჭდთა საწარმოო მარკა! ამიტომაც არის, რომ საწარმოში კომუნისტების ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო ჩვენი მიზეზით!“ „შეკვეთები — მხოლოდ ვადამდე!“

შეჯიბრება გაიშალა ნომენკლატურის გეგმის უთუო შესრულებისათვის. დაზუსტდა სამუშაოთა გრაფიკები ხაამქროების მიხედვით, არჩეულ იქნა კომისია შესრულების კონტროლის გაძლიერებისათვის, შეიქმნა შედეგების შემჯამებელი, გამარჯვებულთა გამომცემლებელი ზანები. შედეგი? თვალსაჩინოა. თუ აქამდე ნომენკლატურის გეგმას 60 პროცენტით ძლივს ასრულებდნენ და შეკვეთების ნაწილი შეუსრულებელი მორჩენილიყო, ადგილ-ადგილ ადრე ამთავრებენ, ჩამორჩენის არც ერთ უბანზე არ ფიქრობენ.

— აქ სოციალისტური შრომის გმირის გიორგი კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადა შრომობს, — გვეუბნება პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. მანჯგალაძე, როცა № 3 თუჯის მძიმე სხმულების ხაამქროში შევედით. — გიორგი კურტანიძის ბრიგადის კომუნისტებმა გამოიჩინეს ინიციატივა ხამუშაოს დამთავრების შემდეგ დარჩნენ ადგილებზე და მეუღლიეებს უბანი მეორე დღისათვის ხამუშაოდ ლიბეთა იმ ბრიგადის წევრებმა, ახალგაზრდა კომუნისტებმა, რომელიც ქარხნის ერთ-ერთი ვეტერანი, ლენინის ორდენოსანი, საწარმოს პარტიული კომიტეტის წევრი ხერგო კუპრაძე ხელმძღვანელობს. შრომითი გმირობის არაერთი მაგალითი უჩვენებიათ კომუნისტებს თამაზ ჭეკოძეს, გიორგ თოგიშვილს, ალეკო გენგიურს. ისინი ყველანი ხერგო კუპრაძის ალრდილები არიან. ახლა თვითონ ზრდიან კომკავშირელ გულად გელაშვილს — მომავალ ნოვატორ მეუღალეს.

— ყოფილა შემთხვევა 7 კაცს ზუსტად ასხამდნენ ფორმებში გავარვარებულ ლითონს 8 და 7-ტონიანი ხელით ხამართვა ვეუბერთელეა ციცხვებიდან. ოთხმა კაცმა დღეში 20 ასეთი ხავსე ციცხვი უნდა ჩააცხა, ეს ხელრეკ ხაქმე როდია, ტემპერატურა 1100 გრადუსამდეა.

ყველა უბანზე მუყაითად, თავდადებით შრომობენ ხაწარმოს კოლექტივის წევრები, ვეტერანები თუ ახალგაზრდები. კომუნისტების ინიციატივა, ავტორიტეტი ყველგან იგრძნობა. ლენინურად დადის ქარხანაში კომუნისტების შიგაგმრარხავ ვიქტორ ცაცხვაძის, ზეინკალ დიმიტრი ქობასხის, მიხეილ პომოგაევის თავდადების ამბავი, როცა მათ ექვს საათში აღმოუხვრეს ავარია, რომელსაც შეეძლო რამდენიმე დღით მოეცდინა № 2 ხაამქროს ის უბანი, სადაც დღეში ჩარხების შეკეთით გათვალისწინებული 17 დგანი უნდა დამზადდეს. მექანიკოსებს და შემკეთებლებს მთელ დღეს მზარში ედგა მეკოპეთა ბრიგადაც ხერგო კუპრაძის მეთაურობით. როცა ავარია აღმოიფხვრა, ბრიგადამ, რომლის ექვსი წევრი კომუნისტია, მუშაობა ისევ განაგრძო და ღამის 10 სათზე 17 დგანი მზად იყო, დღის ნორმა გადაჭარბებით შესრულდა.

ახლახან მოხდა ანალოგიური შემთხვევა. ცვლის დასაწყისში ელექტროსს გაუწყდა ლენტა, შეფერხდა № 1, № 2, № 3 ხაამქროებში დილის ცვლისათვის ხანგრძლივ მშრალი ქვიშის მიწოდება. უყოყმანოდ მოვიდა კომუნისტ მექანიკოს ვიქტორ ხლისტოვის ბრიგადა — ვახტანგ სვანიძე, ვიქტორ ტერლეცკი, ოთარ ეგიაზაროვი, და მათთან ერთად მთელ ღამეს იშრომეს მექანიკოსებმა ილო ტეგეტაშვილმა, არჩილ ნესრესოვმა და დილის ოთხ სათზე ლენტი გადაპაზეს, პირველმა ცვლამ ხაშუალო შეუფერხებლად დაიწყო. მაგრამ ენთუზიასტებმა დასვენება არ ისურვეს, მეორე დღე მათთვის ჩვეულებრივი დატვირთული ხამუშაო დღე იყო.

წლევანდელი წელიწადი მნიშვნელოვანი პერიოდია ხაწარმოს კოლექტივის ხაქმიანობაში. შეკვეთების ვადამდე შესრულებისათვის გაწლილი ზეკერძრება ხაწარმოს კოლექტივი ერთი წუთითაც არ ანელებს შრომის ტემპს, კიდევ უფრო ამაღლებს ხაწარმოო დისციპლინას, აძლიერებს პასუხისმგებლობას მინდობილი ხაქმისათვის. ამიტომაც არის, რომ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაწლილი შეჯიბრების ავანგარდშია.

რ. ჭელიძე.

სრულყოთ საერთაშორისო კანონმდებლობა

საბალხო მეურნეობის სფეროში კანონიერების განმტკიცების პრობლემები.

ბარბიისადმი. საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათქვამია: „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება — ეს იქნება ახალი დიდი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ამ ამოცანათა გადაწყვეტას უდიდესი ეკონომიური, პოლიტიკური და სიერთაშორისო მნიშვნელობა აქვს“.

სამეურნეო სფეროში მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოშტეტნტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები. ეს აქტები სამეურნეო ცხოვრების კანონია და მათი მტკიცედ და ზუსტად შესრულება სავალდებულოა ყველა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციისა და საწარმოსათვის. უდავოა ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ნედლეულის, მასალებისა და მზა პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებები, კაპიტალური მშენებლობის სანარდო ხელშეკრულებები, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებები და სხვა სამეურნეო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა დროულ და ჯეროვან შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულება.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება სამეურნეო სფეროში ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და, კერძოდ, სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფაზე, საწარმოებში საართალრეიტი მუშაობის დონეზე, პრაქტიკულ მუშაობა იურიდიულ კომპეტენტურობაზე და ა. შ.

ამ ეს სამეურნეო კანონმდებლობა საჭიროებს ძირფესვიან გარდაქმნას. როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების მანძილზე სეროიზული ძვრები მოხდა სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვა-ლობის სფეროში. შეიქმნა ხელშემწყობი პირობები საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის—სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ბაზაზე. პარტიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სამეურნეო ხელმძღვანელობის გასუფთავებისაკენ. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება სამართლის როლი, განსაკუთრებით აქტუალურია საზოგადოებრივ ურთიერთობაზე სამართლებრივი ნორმების ზემოქმედების საკითხი, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში აქამდე მომქმედ სამეურნეო კანონმდებლობას ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებები. ეს ნაკლოვანებები აღნიშნა თავის წინასაარჩევნო სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ქ. მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩეველთა კრებაზე. მან მიუთითა, რომ სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საქმეს აქ ექცევიდა ჯეროვანი ყურადღება და ამ მიზეზით აქ დაგროვდა ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. „ვფიქრობ, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო, მთავრობა, სამინისტროები და უწყებებსა ! სერიოზულად მოკიდებენ ხელს ამ საქმეს, სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში მოქმედებს ათასობით სხვადასხვაგვარი ბრძანება და ინსტრუქცია. ამა ბაზე გაეცნობით ქარხნის მომავალს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ „ცდილობენ“.

ვრცელ ხტენდზე ამოიკითხავთ, რომ უანალიზ წლებში ქარხანაში თუჯის სხმულის გამოშვებამ 37-40,5 ათას ტონას უნდა მიაღწიოს, ხოლო ფოლადის სხმულებამ — 6,6-7 ათას ტონას.

— ჩვენი ქარხნის მომავლის პერსპექტიული გეგმა, რომელიც პარტიისა და მთავრობის ინტერესიული დადგენილების — „ხაქართველოს ხალალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — მიზანდასახულობების მიხედვით არის შედგენილი, ძირითადად წარიმართება არსებული ხიმძლავრეების რეკონსტრუქციის გზით, — ამბობენ ქარხნის დირექტორი გიენ ანჩაბაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი ჯემალ მანჯგალაძე. — ეს ამ დადგენილების მთავარი მოთხოვნაა. მეკოპე გიორგი კურტანიძის, მეფალიეების ლუკა წიკლაურის, ხერგო კუპრაძის, ხიმონ ჩობელიანის და სხვა თავდადებული ადამიანების ვამოცდილებაა, ხიბეჭითე ამის თავდებია, რომ მივალწიოთ პროდუქციის გამოშვების ახალ მატებას ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე...

მართლაც ენერგიულად შეუდგნენ ქარხნის მშრომელები ბრძოლას ნაკლოვანებათა და მთავრობის ამ ისტორიულ დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გამართული პლენუმების გადაწყვეტილებათა შეხრულებას და შეტად კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წელიწადი. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 234 ტონა თუჯისა და 568 ტონა ფოლადის სხმულები.

ნიგნი და მეგობრობა

დამთავრდა საბავშვო და ახალგაზრდობის წიგნის სრულიად საკავშირო კვირეული

გაზეთებში ამ ნათელ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობდა საბავშვო და ახალგაზრდობის წიგნის სრულიად საკავშირო კვირეული.

წიგნის კვირეულის დასკვნითი აკორდი იყო ხაზეიმო საღამო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტავამ.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, ბავშვების საყვარელ პოეტს ა. ბარტოს.

ყაზახმა პოეტმა ჯ. ომირბეკოვმა საღამის მონაწილეებს გაუზიარა ჭიანურული დღეების შეხვედრების შთაბეჭდილებანი და წაუკითხა რამდენიმე საკუთარი ლექსი.

დასკვნის საღამოზე გამოვიდნენ ყირგიზეთის საზეკვარკვრეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის სახელგადიდების თავმჯდომარე შ. ბეიშენალიევი, მოლდაველი პოეტი, რესპუბლიკური პიონერული გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი ვ. ფილიპი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული რესპუბლიკური პრემის ლაურეატი მოსკოველი პროზაიკოსი ო. რომანჩენკო, ნ. კრუპსკაიას სახელობის რუსეთის სხსრ სახელმწიფო პრემიისა და ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, რუსეთის სხსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი. რუსეთის სხსრ მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ავტომატიზაციის ეტაპზე ინფორმაციის ძებნა, ინფორმაციის ავტომატური ძებნა, ინფორმაციის ავტომატური ძებნა, ინფორმაციის ავტომატური

ამბები • ფაქტები



საკვლევი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

სოციალიზმის ქვეყნებში

გდრ

ქიმია—სოფელს

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ფარგლებში სპეციალდება სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების წარმოებაზე.

180-ზე მეტი სახეობის ქიმიკატებს იყენებენ რესპუბლიკის სასოფლო და სატყეო მეურნეობაში. მეგანდობასა და მებოსტნეობაში. ამ ნივთიერებებს კარგად ხმარობენ აგრეთვე ხაბეჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში.

კუბა

ქმური თანამშრომლობა

ჰავანა. კუბაში წარმატებით მიმდინარეობს ხარკინიგზო ქსელის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები.

ხარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებასა და ეროვნული კადრების მომზადებაში კუბას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. ჰავანა-სანტიაგო-დე-კუბას ხაზის რეკონსტრუქციის პროექტი საბჭოთა სპეციალისტების ხელშეწყობითაა შემუშავებული. შარშან საბჭოთა კავშირში 200-მდე კუბელმა გაიარა მომზადება. მათ ითვისეს რკინიგზელის სხვადასხვა სპეციალობა.

იუგოსლავია

კარგი ნაყოფი

ბელგრადი. კარგ ნაყოფს ღებულ საბჭოთა და იუგოსლავ ავტომობილმშენებელთა შორის საწარმოო კოოპერაცია, რომელიც წარმატებით ვითარდება.

იუგოსლავიის საწარმოები, რომლებიც კრაგუევაცის „ცრვენა ზასტავის“ სამრეწველო გაერთიანებაში შედიან, ტოლიატის ავტოქარხანის აწყვიან 88 დასახელების სხვადასხვა ნაწარმს, მათ შორის აკუმულატორებსა და საპის თვლებს, ამორტიზატორებსა და სარკეებს, რადიატორთა პირნაკეთობას და შოფრის თარაზს.

საბჭოთა კავშირიდან იუგოსლავიის საწარმოებს მოსდით ტვირთის შემხვედრი ნაკადი. ეს არის ავტოსათადარიგო ნაწილები, ფოლადი, სამსხმელო თუჯი, სინთეზური კაუჩუკი.

ამერიკელი ბიბლიოთეკა

ეგვიპტე მსარს უჭერს

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. სადათის გამოსვლა

კაირო, 31 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სადათმა სიტყვა წარმოთქვა ქვეყნის სახალხო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ეგვიპტის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტისადმი.

ა. სადათმა აღნიშნა, რომ ეგვიპტე მხარს უჭერს უახლოეს ხანში ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზაეო კონფერენციის მუშაობის განახლებას. კონფერენციაზე, თქვა მან, ჩვენ ზუსტად და არაორაზროვნად მოვითხოვთ ისრაელის ჯარების გაყვანას იმ საზღვრებზე, რომლებიც არსებობდა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის 1967 წლის 5 ივნისის აგრესიის დაწყებამდე, აგრეთვე მოვითხოვთ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების უზრუნველყოფას. ამასთან დაკავშირებით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რაოდენ მნიშვნელოვანია ყველა ამ არაბული ქვეყნისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთიანობა და მოქმედების სრული კოორდინაცია, რომლებიც ისრაელს დაუპირისპირდნენ.

ა. სადათმა განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თანახმაა სინის ნახევარკუნძულზე მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების გაუგრძელონ ახლო აღმოსავლეთში ყოფნის ვადა კიდევ სამი თვით იმისათვის, რათა, ერთის მხრივ, მსოფლიო არ აღმოჩნდეს მოულოდნელი კრიზისის წინაშე, ხოლო, მეორეს მხრივ, — მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ ყოველგვარ მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ სუეცის არხი საზღვაო ნაოსნობისათვის, როგორც აღნიშნული იყო, გაიხსნება მომდინარე წლის 5 ივნისს. ჩვენ ძალა შეგვწევს დავიცვათ არხი, არხის ზონის ქალაქების ნებისმიერი ხელყოფა ან თვით არხის ხელყოფა მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდება, განაცხადა ა. სადათმა.

კაირო, 30 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა აჰმედ ქამალ აბუ ალ-მაგდმა მენის საგენტოსათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ისრაელის გემებს სუეცის არხში არ გაატარებენ, სანამ არ იქნება მიღწეული ახლო აღმოსავლეთის კრიზისის საყოველთაო მოწესრიგება.

თურქეთის ახალი მთავრობა

ანკარა, 31 მარტი. (საკდესი). სამართლიანობის პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა შექმნა თურქეთის ახალი კოალიციური მთავრობა, რომელშიც 30 კაცი შედის.

როგორც ს. დემირელმა განაცხადა, თურქეთის პრეზიდენტმა ფ. კორუთურქმა მოიწონა დღეს მისთვის წარდგენილი ახალი კაბინეტის წევრთა სია.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად დანიშნულნი არიან ნეჯმეთინ ერბაკანი (ეროვნული ხსნის პარტია), თურხან ფეიზიოღლუ (ნდობის რესპუბლიკური პარტია), ალპარსლან თურქეში (ეროვნული მოძრაობის პარტია). ეროვნული თავდაცვის მინისტრი გახდა ფერიტ მელენი (ნდობის რესპუბლიკური პარტია), შინაგან საქმეთა მინისტრი — ოგუზხან ასლანთურქი (ეროვნული ხსნის პარტია), საგარეო საქმეთა მინისტრი — იხსან საბრი ჩაგლაიანგილი (სამართლიანობის პარტია), ფინანსთა მინისტრი — ილმაზ ერგენეკონი (სამართლიანობის პარტია).

ფეისალის მკვლელობის შემდეგ

ბეირუთი, 31 მარტი. (საკდესი). ლიბანის პრესა, განმარტავს რა მეფე ფეისალის მკვლელობის შემდეგ საუდის არაბეთში შექმნილ ვითარებას, გამოთქვამს აზრს, რომ საეჭვოა სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა მეფე ჰალედმა შეძლოს შეასრულოს თავისი მოვალეობა ბავადმყოფური მდგომარეობის გამო. „მეფე ჰალედი, — წერს გაზეთი „ალ-კიფაჰ ალ-არაბი“, — როგორც ვარაუდობენ, რამდენიმე თვეში უარს იტყვის ტახტზე თავისი ძმის მემკვიდრე პრინცის ფაჰდის სასარგებლოდ“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰალედი, რომელიც ყოველთვის განზე ედგა სახელმწიფო საქმეებს, არ ცდილობს დაიკავოს მეფის ტახტი და ტახტზე ავიდა, რათა უზრუნველყოს ხელისუფლების საჭირო მემკვიდრეობითობა და თავიდან აიცილოს უთანხმოებანი სამეფო ოჯახში.

კაირო, 31 მარტი. (საკდესი). როგორც ერ-რიადიდან იუწყებიან, იქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მეფე ფეისალის მკვლელი ეძირ ფეისალ იბნ მუსაიდი „ფსიქიურად ჯანმრთელი იყო და სავსებით უწევდა კონტროლს თავის მოქმედებას“. მას მისცემენ რელიგიურ სამართალში და საჯაროდ დასჯიან შარიადიანური კანონის შესაბამისად.

პრეზიდენტ ჯ. ფორდის გამოსვლა

ვაშინგტონი, 31 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ტელევიზიით გამოვიდა იმასთან დაკავშირებთან, რომ მან ხელი მოაწერა კონგრესის მიერ მოწონებული ფედერალური გადასახადების შემცირების კანონპროექტს.

მოწოდება სალხისადმი

ჟენევა, 31 მარტი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა გუშინ გაათავისუფლეს ქალაქი დანანგი, რომელიც 600 კილომეტრზე მდებარეობს საიგონის ჩრდილოეთით სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპირზე. სამხრეთ ვიეტნამის სიდიდით მეორე ქალაქის დანანგის განთავისუფლების შედეგად სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა ახლა მთლიანად უწევს კონტროლს კუანგნამის პროვინციას.

ჰანოი, 30 მარტი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ მოწოდებით მიმართა მთელ სამხრეთვიეტნამელ ხალხს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მიერ საიგონის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით.

მიმართვა მოუწოდებს იმ ქალაქების მოსახლეობას, რომლებსაც კონტროლს უწევს საიგონის აღმინისტრაცია, მესამე პოლიტიკური ძალების ყველა ორგანიზაციას და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ბედი, დაირაზმონ გადამწყვეტ ბრძოლაში თსიეუსა და მისი დაჯუფების დასამხობად.

ეს ღონისძიება, პრეზიდენტის თქმით, უნდა იყოს „ეკონომიკის სტიმული და მხარდაჭერა“, რომელიც, როგორც ცნობილია, სერიოზულ დაქვეითებას განიცდის. მიღებული კანონი დიდ შეღავათს აძლევს კორპორაციებს, რომელთა გადასახადი მცირდება მილიარდობით დოლარით.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ გადასახადების შემცირებას შეიძლება მოჰყვეს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა 60 მილიარდ დოლარამდე 1976 წელს. „ეს არის ზღვრული თანხა, რომლის დაშვებაც ჩვენ შეგვიძლია“ — თქვა მან.

ჯ. ფორდმა შეშფოთება გამოთქვა უმუშევრობის ზრდის გამო, რომელიც ამჟამად ქვეყნის სამეურნეო ძალების რიცხვის 8,2 პროცენტს შეადგენს, და აღნიშნა, რომ „დასაქმების დარგში მდგომარეობა კვლავ საეჭვოა“.

მოლაპარაკების განახლება

ნიკოზია, 31 მარტი. (საკდესი). კვიპროსში გაეროს ორგანიზაციის ორგანიზაციის წარმომადგენელმა აქ განაცხადა, რომ ორივე მხარის თანხმობით 4 აპრილს განახლდება კუნძულის ბერძნულმა და თურქულ მოსახლეობათა მოლაპარაკების კუნძულიტბრულ საკითხებზე. ამ მოლაპარაკების მონაწილეებმა უნდა განიხილონ ის მრავალი ათასი კვიპროსელის მომავალთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა, რომლებიც გასული წლის ზაფხულში მომხდარი ამბების შედეგად იძულებული გახდნენ დატოვებინათ მშობლიური ადგილები და ლტოლვილთა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ოთხნი

ერთნი ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გვერდიანის ფაშიზმზე გამარჯვების დღიდან 30 წელი გავიდა. თითქოს ეს დრო არც ისე მცირეა, მაგრამ ბევრზე, ვისაც სასახელოდ იცავდა დიდ სამამულო ომში ჩვენს სამშობლოს, მის ღირსებას, ვინც გმირულად შეეწირა ვეტერან მტერზე გამარჯვების დიდ საქმეს, ჯერ კიდევ არაფერი დაწერილა, მე ამას იმიტომ კი არ ვუსვამ ხაზს, რომ ეს ფაქტი გასაკვირია ჩემთვის. ვიცი, რომ ღირსეულნი ბევრნი არიან, უფრო სწორად, მილიონები არიან. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ, ვინც იმ ქარიშხლიან წლებში ხათან ერთად ვიბრძოდით და ცოცხალი გადავრჩით, ვალში ვართ თანამებრძოლების, შინმოუსვლელების, მათი მშობლებისა და ნათესავების წინაშე, ისტორიის წინაშე. ყველამ, ვისაც ეს შენიშვნა ეხება, მატი უნდა ისრულოს იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც გამოასწოროს თავისი ხარვეზი, ძალღონე არ დაიშუროს ამ დიდი კეთილშობილური საქმისათვის.

აღნიშნული წერილში მინდა მკითხველებს მოკლედ გავაცნო ჩვენი მაღლის ოთხი სასახელო შვილი, ოთხი მინმოუსვლელი მეომარი. ამასთან, შევნიშავ, რომ ამ ვეტერანების სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, ბტერთან ბრძოლა ერთ-ერთ ეპიზოდებზე, იიაუკეს, თუ რამდენად ძვირად დაუჯდა მტერს მათი სიკვდილი. მაგრამ დღეს ჩვენ მათ დასასიამოვნებლ სხვა კუთხით, სხვა პოზიციით მივუდგებით. ამ მიზნით ჩვენ თავი მოვუყარეთ და ყურადღებით გავეცინეთ სანგრებში, ბერის ცეცხლის ქვეშ, შეტევითი ბრძოლების შორის შეცვენების დროს, ნაჩქარევად, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ქაღალდზე, უბრალო ფანქრით დაწერილ მათს წერილებს.

ამ სამკუთხა ბაიონეტის დაწერიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამიტომ ისინი ძველამიანევად გაცრეცილი და გაყვითლებულია, მაგრამ ფრონტული ნიმუიტი დღემდე არ დაუკარგავთ: სანგრების სუსი კიდევ უდგთ, სავკელ ფოსტა და ნაწილი კოდით არის მინიშნებული. თუმცა ეს როდია მთავარი, არავინ ის, რომ თვითონ წერილები ბტასმეტად საინტერესო და პატრიოტულია. ისინი თავიანთ ავტორებს ახასიათებს, როგორც სამშობლოს ღირსეულ შვილებს, ბაღალადამიანურ, კეთილი თვისებებითა და სურვილებით სავსე საბჭოთა მოქალაქეებს.

პირველად ხელში ის წერილი მოხვდა, რომლის სათაურია „ძვირფასო მშობლებო“, ავტორი — ოფიცერი მიხეილ სეითოს-ძე ბუაძე, 1918 წელს დაბადებული. ბარათი დაწერილია 1942 წლის დეკემბერში, ავტორისათვის საბედისწერო თვეში. აღნიშნული წერილი, მიხეილს ფრონტის წინა ხაზიდან ძასის ხაელზე გამოუგზავნია ამბროლაურის რაიონის სოფელ ხონეთორში.

„... ვიცი, ძვირფასო მშობლებო,— წერდა იგი, — რომ მიწერებით წერილების დაგვიანებისათვის, მაგრამ მერწმუნეთ, დამნაშავე არა ვარ. ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის სვა მეომრებთან ერთად დღეს მეც დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია სამშობლოს წინაშე. დაუპატიჟებელ სტუმრებს — გერმანელ ჯალათებს ჯეროვანი შეხვედრა უნდა, დავისუფალი დრო სულ არ მრჩება.... ოხ! რომ იცოდეთ, რას ხრადიან ჩვენს მიწა-წყალზე ეს მხეცები, როგორ აწამებენ სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას: მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, შერი უნდა ვიძიოთ ფაშისტ ვერგეზზე, ჩემო მშობლებო, ჩემო ძმეთო და დეპ!“

1942 წელი ჯერ კიდევ მძიმე წელი იყო საბჭოთა ხალხისათვის. მისი არმიისათვის. ჩვენი ქვეყანა კვლავ დიდი საშიშროების წინაშე იდგა. მაგრამ კომუნისტი მებრძოლი მიხეილ ბუაძე მაშინ მტკიცედ იყო დაჯერებული მტერზე გამარჯვებაში.

სტალინგრადთან წითელი არმიის მიერ ფაშისტების მრავალათასიანი რჩეული ნაწილების რკინისებურ რკალში მოქცევის შემდეგ მიშას თავისი რწმენა კიდევ უფრო გაუძლიერდა. ამიტომ წერდა იგი, რომ „დადგა დრო პირისსლიანი ფაშიზმის გასაგეთურებისა... იყავით, ჩემო მშობლებო, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ, წითელი არმია და თქვენ — ხალხი ერთიანნი ძალებით მაღე გავანადგურებთ გამხეცებულ ფაშიზმს“.

მიხეილი აღტაცებულია წითელი არმიის მეგდრობით, მისი წარმატებებით, ფრონტხსათვის საბჭოთა ზურგის სულ მზარდი დახმარებით „ჩვენი არმია, — სწერდა იგი მშობლებს,— მთელი ხალხის დახმარებით სულ უფრო და უფრო ძლიერად ურტყამს მტერს. მეც ყოველმხრივ გვდილობ წითელი არმიის დიად გამარჯვებაში ჩემი ღირსეული წვლილი შევიტანო. დარწმუნებული ყოფილი, რომ მე არ შევარცხვენ მშობლების სახელს, არ შევარცხვენ ჩვენს დიად აამშობლოს, ყოველთვის მზად ვარ სიცოცხლეც არ დავიშურო მისთვის“.

სიკვდილის წინ სულ რამდენიმე დღით ადრე მიხეილ ბუაძე თავის ერთ-ერთ წერილში მშობლებს თხოვდა, ეცნობებინათ მისთვის უფროსი ძმის — შამშის შესახებ, „ძალიან გთხოვთ, გვემეცნებინეთ მომწეროთ რა იცით შამშეს შესახებ“.

შამშე მიხეილზე სამი წლით უფროსი იყო, მეფტექნიკუმიც სწორედ სამი წლით ადრე დაამთავრა, რამდენიმე წელი შეიდწლიანი შრომის სკოლის დირექტორი იყო, ახალგაზრდობას კომუნისტური სულისკვეთებით ზრდიდა. 1936 წელს მივიდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1941 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ შამშე თავის სპეციალობით მუშაობდა, ამავე დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მაგრამ მალე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს, საშეთაურო კურსები დაამთავრა, ოფიცრის ჩინი მიიღო, ოცეულის მეთაურად დაინიშნა, მისთვის ახალ, უჩვეულო საქმეს სერიოზულად მოკიდა ხელი, ქვეგანაყოფი კარგად მოამზადა. და 414-ე დივიზია მტერთან გაფთრებულ შერკინებაში ჩაება.

შამშეს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უმცროსი ძმის ამბავი და მისამართი გაიგო. დაუყონებლივ წერილიც გაუგზავნა. ამის შესახებ მშობლებსაც შეატყობინა, მათ ისიც არ დაუშალა, რომ მტერთან შერკინებაში უკანასკნელი არ იყო. სამწუხაროდ, შამშეს წერილი მიხეილს არ მიუღია. მაშინ, როცა ბარათი ადგილზე მივიდა, ადრესატი ცოცხალი აღარ იყო.

სიკვდილის შემდეგ მიხეილ ბუაძე დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

მალე უმცროსი ძმის ბედი უფროსსაც არ ასცდა — მოზდოკის მისადგომებთან მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

ამრიგად, ორივე ძმა — მიხეილ და შამშე ბუაძეები, ეს დიდი საბჭოთა პატრიოტები, ერთი მიზნისათვის, სამშობლოს ღირსებისა და ხალხის ბედნიერებისათვის დაეცნენ ბრძოლის ველზე და უკვდავები დამსახურეს.

ბურჯაანელ დავით ზაქარიას-ძე წვერიკმაზაშვილს 1939 წელი დიდ-მნიშვნელოვან თარიღად მიაჩნდა თავის ცხოვრებაში. მან სწორედ ამ წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი, ამ წელს მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პატიოსნად, ენთუზიაზმით ემსახურებოდა მას დიად საქმეს.

ომის წინ დავითი თბილისის ხალხიანი სკოლაში მუშაობდა. ოჯახსაც შექმნიდა მოასწრო. ტკბილად ცხოვრობდა. 1940 წელს ქალიშვილი დალი შეეძინა, რომელსაც თავს ეფლობოდა, ეგონა, რომ უიმისოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებდა. მაგრამ რიტა საჭიროებამ მოითხოვა, უყოყმანოდ ჩადგა წითელი არმიის რიგებში. იგი თავიდანვე 414-ე დივიზიის 1371-ე პოლკის 75-მილიმეტრიან ბატარეაში მოხვდა, თერგიდან დაწყებული ქერჩის ნახევარკუნძულამდე მასთან ერთად იბრძოდა. ჯერ ოცეულის მეთაური იყო, შემდეგ ბატარიას მეთაურობდა, მტერს აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა.

ტამანისათვის შერკინებაში 1943 წლის 29 სექტემბერს იგი დაიჭრა, მაგრამ მწყობრში დარჩა — მტერთან ბრძოლა განაგრძო. ტამანის ნახევარკუნძის მთა გირეანაიას დაპყრობის დღეს —2 ოქტომბერს დავითმა წვერილი გაუგზავნა მშობლებს, სადაც კითხულობთ „...ძვირფასო მშობლებო! ჩემი ჯავრი ნუ გეწყინებათ, მე კარგად ვარ, მტერს რისხვად ვეგლეზები... ფრონტზე მდგომარეობა ახლა სულ სხვაა. ინიციატივა ჩვენების ხელშია, ფაშისტებს მაგრად ვურტყამთ, მტერი ვერ გვიძლებს, გაიბის“.

ტამანის ბრძოლების შემდეგ დავითი წვერიკმაზაშვილი კმაყოფილია თავისი წარმატებით. ამის შესახებ იგი დიდი სიამაყის გრძნობით წერს თავის მშობლებს, მეუღლეს, მეგობრებს. „...დღეს მე ნამდვილად ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჩემი საბრძოლო დამსახურება ღირსეულად დაიფასეს უფროსებმა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დამაჯილდოვეს. ცხადია, ეს მე მომავალში ბევრ რამეს მავალებს“.

ყურადღებას იპყრობს დავითის ორი წერილი, რომლებიც სიკვდილამდე ერთი თვით ადრე მიწერა მშობლებს და მეუღლეს ცალ-ცალკე. მშობლებისადმი გაგზავნილ ბარათში სხვათაშორის ნათქვამია, რომ ომი ომია, მით უმეტეს ვერაგ და ჯერ კიდევ ძლიერ მტერთან. „ასეთ ომში სიკვდილისაგან არავინ არ არის დაზღვეული, მათ შორის მეც. თუ სიკვდილი არ ამედგება, მე თქვენს მიმართ მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება: ჩემი პატარა დალიკო სასახელოდ გამიზარდოთ და ჩემი გვარი არ დაუკარგოთ“.

დავით წვერიკმაზაშვილი თავის მეუღლეს ბაბულიას სწერდა: „...საყვარელო ბაბულია! მეც მოელი გულითა და სულით მინდა თქვენთან ვიყო, რამდენიმე დღით მაინც ჩამოვიდე. მაგრამ ეს ჯერჯერობით შეუძლებელია: მე ალა სწორედ აქ — ფრონტის წინა ხაზზე ვმირდები სამშობლოს... სულ ერთია სად ვიბრძვი მე ფაშისტების წინააღმდეგ. ფაქტი კი ერთია, რომ მე ვიცავ ჩვენს დიად სამშობლოს, მათ შორის საქართველოს; მაშასადამე გიცავთ თქვენც. დღეს მე მხოლოდ ერთი მტკიცე პირობა შემიძლია მოგცეთ: „არ შეგარცხვენთ მტერთან არცერთ შერკინებაში, ისე როგორც არ შემარცხვენინართ გადახდილ ბრძოლებში“.

მართლაც, დავითი ეაჟკაცურად ასრულებდა თავის დაპირებას. ქერჩის პლაცდარმზე იგი ოსტატურად ურტყამდა ფაშისტებს. მაგრამ, სამწუხაროდ, მტერთან ერთ-ერთ შერკინებაში 1944 წლის 21 იანვარს მძიმედ დაიჭრა. ბოლკისა და დივიზიის სამედიცინო პერსონალმა მის გადასარჩენად ყველაფერი იღონა, მაგრამ ამაოდ. ჭრილობა საბედისწერო გამოდგა, ხუთი დღის შემდეგ 26 იანვარს იგი გადაიცვალა და სამუდამოდ დარჩა ქერჩის მიწაზე.

1944 წლის 10 იანვარს ქერჩის პლაცდარმზე ჩვენს საკეცსულ პოზიციებზე მტრის საარტილერიო თავდასხმის დროს დაიღუპა ერთ-ერთი გულადი მეომარი, ორდენოსანი, შეასანიშნავი კომკავშირელი მუშაკი 1053-ე საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონის კომთრგი (ამავე დროს ქვემეხის მემხრე), ახალგაზრდა კომუნისტი, ცხაკაიელი უფროსი სერგეანტი ავთანდილ ონოს ძე ონიგავა.

ომამდე იგი მასწავლებლად მუშაობდა, ამავე დროს უმაღლეს სასწავლებელში დაუსწრებლად სწავლობდა. ონიგავა მაშინ სულ ახალგაზრდა იყო — 21 წლის ჭაბუკი, მაგრამ ბრძოლაში გამოწრთობილი, შეეპოვარი. სხვათაშორის იგი კარგი ორკესტრანტი და ალღოიანი მუშაკი იყო, მონდომებული, პერსპექტივიანი. ამიტომაც დივიზიის პოლიტგანყოფილებას ავთანდილ ონიგავა დასაწინაურებელთა რეზერვში ყავდა.

ფაქტიურად გადაწყვეტილიც იყო უახლოეს დროში მისი დივიზიონის პარტორგად დაწინაურება. მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ჩაშალა ეს გეგმა.

ავთანდილის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულზე, მისადმი თავდადებაზე, მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენაზე მეუთაოებენ მისი ფრონტული წერილები. მხოლოდ ერთი მაგალითი.

ა. ონიგავას მიერ ქერჩის პლაცდარმიდან მშობლების სახელზე გამოგზავნილ ბარათში, რომელიც დაწერილია 1944 წლის 9 იანვარს, ეკი იგი დადუმების წინა დღეს, ნათქვამია:

„...მე თუ მიკითხავთ, ვარ ვაკკაცურად. მტერს ჩვენი ნაწილები მაგრად ურტყამენ. ფაშისტებს შავი დღე ადგათ. დღეს თუ ვცალ ჩვენი საყვარელი სამშობლო მთლიანად იქნება გაწმენდილი ფაშისტ ნაძირალებისაგან. მალე ვეღირსებით დიდხანს ოცნებას—მტერზე საბოლოო გამარჯვებას. მაშინ უკვე საბჭოთა ქვეყანა ძველებურად მშვიდად ისუნთქავს, მშვიდობიან მშენებლობას შეუდგება და ჩვენც გვეღირსება ერთმანეთის ნახვა, ერთად ცხოვრება“.

სამწუხაროდ იგი ომის დამთავრებას ვერ მოესწრო, თავის მშობლებს, თავის კერას ვერ დაუბრუნდა, მაგრამ ვერაგ მტერზე დიდ გამარჯვებაში არის მისი ღირსეული წვლილიც. ამიტომ უკვდავია მისი სახელი.

ვარლამ ჯანჯღავა,
გადამდგარი პოლკოვნიკი.

• • •

სურათებზე: მ. ბუაძე, შ. ბუაძე, დ. წვერიკმაზაშვილი, ა. ონიგავა.

ფოტოინფორმაცია

„ამერიკის ბაზა დიეგო-გარსიაზე საფრთხეს შქმნის ინდოეთის ოკეანის აუზის სახელმწიფოების მშვიდობასა და უშიშროებას!“, „ძირს უცხოეთის სამხედრო ბაზები!“ — ასეთი ლოზუნგებით ჩაიარეს დელის ქუჩებში მანიფესტაციის მონაწილეებმა. შემდეგ გაიმართა მასობრივი მიტინგი.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი ინდოეთის დედაქალაქის ქუჩებში.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

საკდესი, 31 მარტი

ლონდონი. 12 პროცენტით და მეტად გაძვირდა კვების პროდუქტები იხგლისში გასული წლის სექტემბრიდან დღემდე. იუწყება რა ამას, გაზეთი „გარდიანი“ აღნიშნავს კარაქის, რძის, ბოსტნეულის მნიშვნელოვნად გაძვირებას.

კანბერა. დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, დემპჰეირიდან კარნარვონამდე, თავს დაატყდა ძლიერი ტროპიკული ციკლონი „ბივერლი“. ქარის სიჩქარე აღწევდა 200 კილომეტრს საათში. მეტეოროლოგების მონაცემებით, დღეს ციკლონი მიაღწევს ქალაქებს ონსლოუსა და ეგსმაუსს, რომელთა მცხოვრებნი ემზადებიან გაფთრებული სტიქიის დასახვედრად.

ბრაზაკვილი. როგორც ლუანდიდან იუწყებიან, პორტუგალიის უმაღლესმა კომისარმა ანგოლაში გენერალმა ს. კარდოზუმ გამოაცხადა ქალაქში კომენდანტის საათის გაუქმება „მდგომარეობის გაუმჯობესების“ გამო. მან ლუანდელ მცხოვრებლებს მოუწოდა ითანამშრომლონ სამხედრო ხელისუფლებასთან წესრიგის დასაცავად ანგოლის დედაქალაქში, სადაც ამ კვირაში მოხდა ანგოლის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა მიერ პროვოკაციულად გამოწვეული შეიარაღებული შეტაკებანი.

ბანგკოკი. ტაილანდის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა არ მისცემს თავშესაფარს ლონ ნოლს, თუ იგი კამბოჯას დატოვებს და ასეთი თხოვნით მიმართავს ტაილანდის მთავრობას.

ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტის ბიულეტენი

ბოლო ცნობები

ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი

ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი

###

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲮᲣᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲐᲞᲘᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲪᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲛᲝᲜᲬᲔᲠᲐ.

„ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ“ ᲒᲐᲖᲗᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲛᲝᲜᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘ